ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48. 482503725**
თარიღი:**06/02/2025**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2025 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა'' პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე" პუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის, ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N 654 დადგენილებისა და ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის №53 განკარგულების შესაბამისად,

ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეიქმნას წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2025 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

გენადი ბალანჩივაძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი, ჯგუფის უფროსი;

თეიმურაზ ჭეიშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავნჯდომარე;

გრიგოლ ყურაშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;

კობა გურეშიძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

სერგო კირკიტაძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

გიორგი დოლიძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

მალხაზ ჩხეიძე - პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის უფროსი;

იონა ჯოჯუა - მეორე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და განვითარების განყოფილების უფროსი;

რევაზ დიდავა - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

დევი დოლაბერიძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

ომარი სინაურიძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

შალვა კილაძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

გიორგი ფაჩუაშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე

ლევან ჩანქსელიანი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე;

ნესტორ აფხაძე - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - მერის მრჩეველი;

იასონ გაბუნია - პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი;

ნიკა მჟავია - მეორე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი;

ირაკლი შალამბერიძე - მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

მაკა ჭელიძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

არჩილ ღიბრაძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;

ჯეირან ომანაძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

ზაზა ერბელიძე - მეორე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი;

გიორგი ხუციშვილი - მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

გოგი სილაგაძე - მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

მამუკა გელენიძე - მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და განვითარების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

ლევან ბოკელავაძე - მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და განვითარების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

ზაზა ბობოხიძე - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - კონსულტანტი;

კობა გოგიძე - მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და განვითარების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, მდივანი.

2. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში გამოსაყოფი თანხების ოდენობა და კრებების ჩატარების განრიგი დანართი N1 შესაბამისად.

3. ბრძანება, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში გამოსაყოფი თანხების ოდენობა და კრებების ჩატარების განრიგი (დანართი N1) და მოსახლეობის მიერ ინიცირებული პროექტების ნუსხა (დანართი N2) გამოქვეყნდეს პროაქტიულად წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ასევე Facebook-ის გვერდზე, განთავდეს ამობეჭდილი სახით მერიის ადმინისტრაციულ შენობებში, დასახლებებში მდებარე საჯარო შენობებსა და მოსახლეობის თავშეყრის ადგილებში.

4. ამ ბრძანების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2024 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 08 იანვრის N ბ48. 48240084 ბრძანება.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

გრიგოლი ყურაშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი